



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030145629320119

№ 01-135/თ

08 / აპრილი / 2019 წ.

სეზონური გრიპისა და გრიპისმაგვარი დაავადების შემთხვევათა მკურნალობისა და მართვისათვის მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 01 თებერვლის N01-44/თ ბრძანებით განსაზღვრული დამატებითი და დროებითი ღონისძიების დასრულების თაობაზე

სეზონური გრიპისა და გრიპისმაგვარი დაავადების შემთხვევათა მკურნალობისა და მართვისათვის მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 01 თებერვლის N01-44/თ ბრძანებით განსაზღვრული დროებითი და დამატებითი ღონისძიების დასრულებასთან დაკავშირებით, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ა“, „ზ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ლ“ და „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. სეზონური გრიპისა და გრიპისმაგვარი დაავადებით მოავადე პირებისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 01 თებერვლის N01-44/თ ბრძანებით განსაზღვრული დროებითი და დამატებითი ღონისძიებები დასრულებულად ჩაითვალოს 2019 წლის 9 აპრილიდან.

მუხლი 2. დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს უზრუნველყოს მიმწოდებლების ინფორმირება ამ ბრძანების შესახებ.

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2019 წლის 9 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელემტრონულად



დავით სერგეენკო